პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

____ თებერვალი, 2020 წელი ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის და სანიაღვრე სისტემის
გამოყენებისათვის საზღაურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის და სანიაღვრე სისტემის გამოყენებისათვის განისაზღვროს საზღაური შემდეგი ოდენობით:

ა) საზოგადოებრივ ტერიტორიაზე/სივრცეში სამშენებლო (დამცავი, უსაფრთხოების და სხვა) ღობის განთავსებისათვის - საზოგადოებრივი ადგილის სარგებლობის ყოველ 1 (ერთი) კვ.მ.-ზე თვეში (ქვემოთ მოცემული ზონების საზღვრები განისაზღვრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მიწის ნაკვეთების ნორმატული ფასის დადგენის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი აქტით):

ა.ა) ცენტრალური ზონის I ქვეზონა - 100 (ასი) ლარი;

ა.ბ) ცენტრალური ზონის II ქვეზონა - 75 (სამოცდათხუთმეტი) ლარი;

ა.გ) ცენტრალური ზონის III ქვეზონა - 50 (ორმოცდაათი) ლარი;

ა.დ) შუალედური ზონა - 40 (ორმოცი) ლარი;

ა.ე) პერიფერიული ზონა - 30 (ოცდაათი) ლარი.

ბ) საზოგადოებრივ ტერიტორიაზე/სივრცეში სხვადასხვა ნივთის (მათ შორის, კიბის უჯრედის, აგრეგატის და სხვა მსგავსი ტიპის ნივთის/ნაგებობის) განთავსებისათვის - საზოგადოებრივი ადგილის სარგებლობის ყოველ 1 (ერთი) კვ.მ.-ზე თვეში 40 (ორმოცი) ლარი (ამ პუნქტის მიზნებისათვის ნივთის განთავსების ნებართვა/თანხმობა გაიცემა განსაზღვრული ვადით);

გ) გზაჯვარედინებზე არსებული მიწისქვეშა საკომუნიკაციო არხით სარგებლობისათვის - 1 (ერთი) გრძივი მეტრი 300 (სამასი) ლარი;

დ) სანიაღვრე სისტემაში გრუნტის წყლების ჩაშვებისათვის - ქვაბულის ზედაპირის ყოველ 1 (ერთი) კვ.მ.-ზე თვეში 10 (ათი) ლარი;

ე) სანიაღვრე სისტემაში ახალი ობიექტის მიერთებისათვის:

ე.ა) დ110 მმ ქსელის შეჭრა/მიერთება - 1 200 (ათას ორასი) ლარი;

ე.ბ) დ150 მმ ქსელის შეჭრა/მიერთება - 1 650 (ათას ექვსას ორმოცდაათი) ლარი;

ე.გ) დ200 მმ ქსელის შეჭრა/მიერთება - 2 250 (ორი ათას ორას ორმოცდაათი) ლარი.

2. საზღაურის გადახდა ხდება ერთჯერადად, წინასწარ, საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის გამოყენების, საზოგადოებრივ ტერიტორიაზე/სივრცეში სხვადასხვა ნივთების განთავსების და სანიაღვრე სისტემის გამოყენებისათვის თანხმობის/ნებართვის გაცემამდე.

3. დაინტერესებული პირი საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის გამოყენების, საზოგადოებრივ ტერიტორიაზე/სივრცეში სხვადასხვა ნივთების განთავსების და სანიაღვრე სისტემის გამოყენების უფლების მოპოვებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებულ დოკუმენტაციასთან ერთად წარადგენს ამ განკარგულებით დადგენილი საზღაურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.

4. ამ განკარგულებით გათვალისწინებული საზღაური შეიტანება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. საზღაურის დაანგარიშება-ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია თანხმობის/ნებართვის გამცემი ორგანო (სამსახური/ორგანიზაცია).

5. ამ განკარგულებით დადგენილი საზღაურის გადახდისაგან თავისუფლდება სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და მუნიციპალიტეტის ორგანოები, ასევე მათ მიერ დაფუძნებული (მათ დაქვემდებარებაში არსებული) ორგანიზაციები.

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის და სანიაღვრე სისტემის
გამოყენებისათვის საზღაურის განსაზღვრის შესახებ დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ;

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

პროექტის მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის და სანიაღვრე სისტემების გამოყენებისათვის საზღაურის დადგენა და ამ მიზნით დადგენილების მიღება. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დაწესდეს საზღაური ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტერიტორიის (საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის) გამოყენებისათვის საჯარო მიზნებიდან გამომდინარე.

ა.ბ. პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტერიტორიის/სივრცის და სანიაღვრე სისტემის გამოყენებისათვის საზღაურის განსაზღვრის შესახებ დადგენილების მიღება.

ბ) პროექტის ფინასური დასაბუთება;

ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინასების წყარო: არ გამოწვევს ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე-არ გამოიწვევს .

პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები, სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

პროექტის მომზადების პროცესში არ მიღებულა კონსულტაციები;

პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

პროექტის ინიციატორი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ქალაქგანვითარებისა და ურბანული
პოლიტიკის სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი